ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3716116

ნომერი: AR1560907

თარიღი : 27.11.2017

გაცემის თარიღი : 04.12.2017

გაცნობის თარიღი : 04.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 1 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 1 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 1 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ მაჭავარიანი პ/ნ 01008023070
- თბილისი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

სამსახურში ფიქსირდება AR1517568 განცხადება, რომლის საფუძველზეც გაცემულია წერილობითი თანხმობა №3419435 გადაწყვეტილებით. აღნიშნული განაცხადით საკითხი დაყენებული იყო №3207511 გადაწყვეტილებით (AR1492985 განაცხადის) შეთახხმენული სამუშაოების კორექტირების კუთხით. შესაბამისად ამ ეტაპზე საჭიროა საკითხი დაყენებულ იქნას არა №3207511 გადაწყვეტილების (AR1492985 განაცხადი) კორექტირების, არამედ №3419435 გადაწყვეტილების (AR1517568 განაცხადი) კორექტირების კუთხით. ასევე საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დეტალურად განმარტოთ ინფორმაცია ყველა ჩასატარებელ სამუშაოსთან დაკავშირებით, მათ შორის კორექტირებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით. გაურკვეველია, საპროექტო დავალებითი სამუშაოები ითვალისწინებს თუ არა საყვავილების განთავსებას, რაც საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობას (იმ შემთხვევაში თუ მათი განთავსება ხდება საკადასტრო საზღვრებს გარეთ, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე).
გარდა ამისა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის სხვადასხვა ხედის ფიქსაციით გადაღებული ფოტოსურათები, ხოლო "კორექტირებული ფოტომონტაჟი"-ს და "ფოტომონტაჟი"-ს ველებში აიტვირთოს არსებული სიტუაციის ფოტოსურათებზე დამუშავებული ერთნაირი ფოტომონტაჟები, ყველა საპროექტო ელემენტის ასახვით. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთულ იქნას ერთი და იგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის და განმარტებების დაფიქსირების შემდეგ სამასხური ხელახლა იმსჯელებს აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით.
ასევე გაითვალისწინეთ: თქვენს მიერ წარმოდგენილი თანხმობები არ არის მისაღები, რადგან თანხმობა არ არის გამოთქმული ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერში N 01.10.14.012.030 საკადასტრო ერთეულზე ფიქსირდება თანასაკუთრება, წარმოსადგენია ყველა მესაკუთრის მიერ სათანადო წესით გაცმული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ამასთან, ვინაიდან ერთ-ერთი მესაკუთრე არასრულწლოვანია, წარმოსადგენია აღნიშნული პირის დაბადების მოწმობა. გაითვალისწინეთ, რომ არასრულწლოვან პირის წარმომადგენლები არიან მისი მშობლები.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.